

ა ლ ქ მ წ ჩ ა რ ი

ვუარყოთ სიცოცის მანებია  
და  
შემოვისარტყლით  
სიგართლის ჯავშანოთ!

თბილისი  
2018

## ვუარყოთ სიცოდის მანებია და შემოვისარტყლეთ სიმართლის ჯავშანით! —————

. . .

მსოფლიოს ეპრაულმა განვითარებამ კაცობრიობა ბიბლიის ტყვეობაში დატოვა, მოძღვრების, - რომელსაც საფუძვლად უდევს სიცრუე, „სამომავლო ორიენტირად“ კი – საკრალური ილუზია (გოეთათვის), ხოლო შინაარსად „სიბრძნის“, ისტორიულ და „წინასწარმეტყველთა ტრაქტატებში“, დაშიფრული კაცობრიობის წინააღმდეგ ეპრაელთა შეთქმულების ტექსტი, რასაც ვერ ხვდება ბნელი და უმეცარი ადამიანი.

დღევანდელ მდგომარეობაში ხალხის არსებობა კი - მათი გონიერის ბიბლიით მანიპულირების შედეგია.

და თუ ცხოვრების ჩვეულ დინებას დავყვებით, - გადაშენება მართლაც გვიწერია.

გამოსავალია ახალ აზროვნებასა და ხალხთა გაერთიანებაშია, რასაც საფუძვლად შეიძლება სოციალური თანასწორობა დაედოს.

ამ მხრივ ბევრ საინტერესოს შეხვდებით მოცემულ ნაშრომში.

აკადემიკოსი  
ალექსანდრე ქოჩიაშვილი

## ნაწილი I.

### ზოგადი

#### თავი I.

რამ განაპირობა კერავის, ღვთაებებისა და  
რელიგიების ნამომშობა ქველად და მათი მოკლე  
ეცოლულია.

რელიგია, საზოგადოების თვითგანვითარების  
შედეგი. იბადება შიშის ნიადაგზე, როგორც რეა-  
ლობის დამახინჯებული აღთქმა. მასში ბუნებრივი  
ძალები ღებულობს არამიწიერ ხასიათს და საკრალ-  
ურდება.

რელიგიით ადამიანები ახდენენ ობიექტურ რე-  
ალობასთან მიმართებაში თავიანთი უსუსურობის  
კომპენსირებას და ცდილობენ საფრთხის შემცველ  
მითიურ წყაროზე მოახდინონ გავლენა.

ავტორი

1. დაახლოებით 40 ათასი წლის წინათ, ჯერ კიდევ ნეოლი-  
თის ხანამდე, ვიდრე ჩამოყალიბდებოდა თემურ-გვაროვნუ-  
ლი წყობილება, გამოქვაბულებში ცხოვრების დროს, ვიდრე  
დაიწყებდნენ სამინათმოქმედო საქმიანობას, ცხადია, ადამი-  
ანები ძირითადად თავს ირჩენდნენ მონადირეობით.

უპირატესობას რომელ ცხოველსაც მიანიჭებდნენ, ანუ  
ძირითადად რომელთა ხარჯზეც უხდებოდათ არსებობა, მას  
გამოსახავდნენ ხოლმე სადგომში და იწყებდნენ მის მიმართ  
თაყვანისცემას.

ხოლო როდესაც მამაკაცები მიდიოდნენ სანადიროდ, სად-

## ვუარყოთ სიცრუის მანებია და

## შემოვისარტყლენით სიმართლის ჯავშანით! ——————

გომში დარჩენილი ქალები, მათთვის სულიერი დახმარების მიზნით, „ნახატი კერპის“ წინ მართავდნენ მაგიურ სცენებს, რაც შემდგომ რელიგიურ ჩვევებში გადაიზარდა<sup>1</sup>.

ცხადია, მაშინ ადამიანები იკვებებოდნენ ასევე მცენარეული საკვებით და ზოგ მათგანს გამოიყენებდნენ სამურნალოდ, რასაც არ შეიძლება არ გამოეწვია მათი გულთბილი დამოკიდებულება და მისი „გაღმერთება“. ასე წარმოიშვა „ტოტემიზმი“<sup>2</sup>.

თაყვანისცემას იჩენდნენ აგრეთვე ბუნებრივი ობიექტების (ქვები, კლდეები, მხეცის ეშვი და სხვა) მიმართაც, რომლებსაც გარკვეულ ძალას ანიჭებდნენ თავდაცვაში, მეურნალობაში, წარმატებულ ნადირობაში და სხვა, რასაც მიაწერდნენ ზებუნებრივ ძალებს. ასეთ მიმდინარეობას „ფეტიშიზმი“ ეწოდა.<sup>3</sup>

ადრეული პერიოდიდან ადამიანებს ჩაესახა აგრეთვე „სულთა“ არსებობის შესახებ რწმენა. თითქოსდა ისინი ყოფილიყვნენ როგორც კონკრეტულ საგნებში, ისე მათ გარეშე დამოუკიდებლად. მაგ. მტრედში სული წმინდა, ცალკე ავი სული და სხვა, რომელთა მიმართაც გაუჩნდათ ერთ შემთხვევაში მონიწებისა და პატივისცემის, მეორე შემთხვევაში სიძულვილის ან/და შიშის გრძნობა, რასაც „ანიმიზმი“ ეწოდა.<sup>4</sup>

ძველი ქვის ხანამდე, ვიდრე პატრიარქატი დამყარდებოდა, ქალს, ოჯახის დედას, ცხადია გაბატონებული მდგომარეობა ეკავა და მისგან ამოიზარდა „ნაყოფიერების ღმერთი“<sup>5</sup>.

საზოგადოების თემურ-გვაროვნულმა არსებობამ კი წარმოშვა წინაპართა კულტი. რომ თითქოსდა, ყოფილ გარდაცვლილ თემისა თუ გვარის ბელადს, გარდაცვალების შემდეგაც შეეძლო თავის ხალხზე ზემოქმედების მოხდენა. ამიტომაც, რომ არ განეწყენებინათ იგი უყურადღებობით, - ტრადიციულ პატივში ჰყავდათ და მასაც აღმერთებდნენ.

ცხადია, ადამიანებს ძევლთაგანვე ვერ შეეძლოთ ბუნებრივი მოვლენების ახსნა და მათ უკან უხილავ ძალებს მოიაზრებდნენ, რომლებსაც თავის დაცვისა თუ მომადლიერების

მიზნით უგებდნენ კერპებს და სახელობით მოიხსენიებდნენ.

ამდენად, ყველა ეს „რელიგიური“ მიმდინარეობა, ხალხის კეთილდღეობისაკენ იყო მიმართული და ოჯახში, გვარსა თუ თემში, - სოციალური თანასწორობის პრინციპს არ არღვევდა.

კლასობრივ წყობილებაზე გადასვლით კი, - რელიგიური რწმენის ხასიათი შეიცვალა და დაიწყო თემისა თუ ტომის ბელადთა საკრალიზაცია, ანუ გაღმერთება.

ბელადი, როგორც ძალაუფლების მატარებელი, - ხდება მორჩილთა თაყვანისცემის ობიექტი.

თანდათან მიაწერენ მას, არა მარტო მიწიერ, არამედ ღვთაებრივ წარმომავლობას და თვისებებს. ირლვევა თანასწორობის პრინციპიც.

მთელი ტომის შიგნით იწყება სოციალური განშრევება (შრომის დაყოფა, ჩნდება პროფესიები, ყალიბდება არისტოკრატია), რაც თანდათან გადადის რელიგიურ რწმენებსა და ჩვევებში. ბელადთა ხელში რელიგია იძენს პოლიტიკური იარაღის სახეს. „ღვთისმსახურთაგან“ ყალიბდება საზოგადოების პრივილეგირებული, პარაზიტული ფენა, - ქურუმები, რაც ხდება მემკვიდრეობითი.

თემთა გაერთიანებებით ჩნდება „პოლტეიზმი“ ანუ მრავალლმერთიანობა, რაც იდეოლოგიურ კოჰაბიტაციას წარმოადგენდა. <sup>6</sup>

მდიდართა და ლარიბთა, ანუ მონათმფლობელთა და მონათა კლასობრივ ქონებრივ უთანასწორობას ჰეგემონი უზრუნველყოფდა, მის ძალაუფლებას კი რელიგია განამტკიცებდა, მისი ღვთაებრივი წარმომავლობის პროპაგანდირებით. გაჩინდნენ ტაძრები და სამლოცველოები, სამლოცველოება იქცა მუდმივმოქმედ ანტიხალხურ ინსტიტუტად.

კლასობრივი წყობილების პირმშო ღმერთებს მიენიჭათ საზოგადოებრივი მნიშვნელობა და იქცნენ მათ ისტორიულ ძალთა წარმომადგენლებად. ასე შეიმოსა საზოგადოება სი-

## ვუარყოთ სიცრუის მანებია და

## შემოვისარტყლენით სიმართლის ჯავშანით!

---

ცრუის მანტიით. დაინტერეს ცალკეული ღმერთებისადმი სახე-ლობითი ტაძრების აგება.\*

ძველი წელთაღრიცხვის IV-III ათასწლეულში ეგვიპტე შეს-დგებოდა თემობრივობაზე დაფუძნებული 40 ოლქისაგან, რომლებსაც სათავეში ედგათ სარწყავი არხების მესაკუთრეე-

\* „ღმერთში“ მოიაზრება ყოვლისშემძლე, ზებუნებრივი უმაღლესი არ-სება.

მონოთეისტურ აბრამულ რელიგიებში ღმერთი განიხილება, როგორც აბსოლუტური პერსონოფიცირებული პიროვნება, - იეჰოვა, ქრისტე, აღ-ახი, - როგორც უმაღლესი ჭეშმარიტება და სიყვარული.

პოლიტეისტური რელიგიები ღმერთს მიიჩნევს სამყაროსა და ყოველი არსებულის, მათ შორის, ყოველი სულდგმულის, მათი ცხოველქმედების კანონებისა და არსის შემქმნელად.

ღმერთის საწყისასად მიიჩნევა „სიკეთის გაღება“. მთავარი მცნებაა „თაყვანისცემა“, თაყვანისცემები კი მიიჩნევიან მორწმუნებად.

ზოგიერთ ქვეყანაში ერთდროილად შეიძლება ყოფილიყო რამდენიმე ღმერთი, რომელთაგან ერთი იყო მთავარი, დანარჩენები კი მას მორჩილ-ობდნენ, და მისი ნების შემსრულებლებად მოიაზრებოდნენ.

ასეთ რელიგიებს კი უწოდებდნენ „მწვალებლურს“.

მსგავსი რელიგიები ძველად იყო შუმერში, ბაბილონში, ასურეთში, ეგვიპტეში, საბერძნეთში, რომასა და სხვა ქვეყნებში, ვიდრე არ გაჩნდნენ აბრამული რელიგიები (იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი).

აბრამული რელიგიები თავის მხრივ ითვლებიან მონოთეისტურ რე-ლიგიებად, რამეთუ ალიარებენ ერთლმერთიანობას, იუდაიზმი – იეჰოვას, ქრისტიანობა – იესო ქრისტეს (სამების იპოსტასით) და ისლამი – ალაჰს, რომლებიც მოიაზრებიან ყოვლისშემძლებად და არიან ყველგან და ყვე-ლაფერში. ადამიანებსა არ ძალიდთ ჩასწვდნენ მათ არსში, რამეთუ ილუზიურ, საკრალურ ასპექტებში განიხილებიან.

ქართული ინტერპრეტაციით „ღმერთი“ შეიძლება გავიგოთ, როგორც „მაღალი“, მიუწვდომელი – ზეცა, რაც თავის მხრივ ჩვენს მისადმი უსუ-სურობასაც ხაზს უსვამს.

ათეიისტები უარყოფენ თეიზმს და სწამთ, რომ არ არსებობს არააირი ღმერთი და რომ ყველაფერი ბუნებრივ კანონებს ემორჩილება. არისტოტე-ლეს შეხედულებით ღმერთი სამყაროს შემომქმედი კი არაა, რომელსაც არ გააჩნია საწყისი დროში, არამედ იდეური მიზანია, საითკენაც მიისწრაფვის ბუნება და ადამიანი.

2005 წლის მონაცემებით, დედამინის მოსახლეობის 33% იყო ქრის-ტიანი, 21% - ისლამისტი, 0,22% - იუდაისტი; დაახლოებით 14% ინდუისტი; 6% - ბუდისტი; 6% - ჩინური რელიგიების მიმდევარი და 4% სხვა ტრადიცი-ული რელიგიების მიმდევარი. 16% კი ათეიისტი.

(ix. <https://ru.Wikipedia.org/wiki/>)<sup>7</sup>

ბი, რომლებიც ამავ დროს წარმოადგენდნენ უმაღლეს სასულიერო პირებს, ანუ ქურუმებს. <sup>8</sup>

მოგვიანებით ეს ოლქები გაერთიანდნენ ზემო და ქვემო ეგვიპტეთა სახელმწიფოებად და დაიწყო მათი ცივილიზაცია.

ამ დროს, ცივილიზაციასთან ერთად, იქ ჩნდება „საზოგადეობრივი საქმიანობის“ მფარველი ღმერთიც. მაგალითად, დამწერლობის მფარველი ღმერთი - „ტოტი“, სამართლიანობის მფარველი ღმერთი - „მაატი“ და სხვა. თუმცა, ქვეყნის მთავარ ღმერთად მიჩნეული იყო მზის განმასახიერებელი ღმერთი - „ატუმი“, ანუ „რა-ატუმი“<sup>9</sup>.

ფარაონი ითვლებოდა მის წარმომადაგენლად დედამიწაზე და შევილად.

ქ. მემფის გააჩნდა თავისი მფარველი ღმერთი „პტახი“, რომელიც ამავე დროს ითვლებოდა წყლის, მიწისა და მსოფლიო გონის მფარველადაც.

მისი ტაძრის ქურუმები განაგებდნენ სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებს და ითვლებოდნენ ქვეყნის პირველ პირებად.

ეგვიპტეში განსაკუთრებული ადგილი ეკავა გარდაცვლილთა ღმერთ „ოსირის“, რომელსაც მიაწერდნენ მკვდრეთით აღდგომის ძალასაც. <sup>10</sup>

ეგვიპტის მრავალლმერთიანობა გაგრძელდა იქ აბრამული რელიგიების გავრცელებამდე.

ძველი წელთაღრიცხვით IV-III ათასწლეულში შუმერებშიც იყო მრავალღმერთიანობა, საიდანაც ვფიქრობ, რომ გავრცელდა ეგვიპტეშიც.

აქაც თითოეულ თემსა და ქალაქს გააჩნდა თავისი მფარველი ღმერთი, რომლებიც უმაღლეს ძალებს განასახიერებდნენ.

მათ შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავა ნაყოფიერების, იგივე ქალღმერთს - „ინანნას“, რომელიც მატრიარქობიდან იღებდა სათავეს. ეს ღმერთი ითვლებოდა ქ. ურუკის მფარველ ღმერთადაც <sup>11</sup>

## ვუარყოთ სიცრუის მანებია და შემოვისარტყლეთ სიმართლის ჯავშანით! —————

შუმერთა პანთეონში უმაღლეს საფეხურზე იდგა ღმერთი „დუმუზი“, რომლის პროტოტიპად „ოსირისი“ უნდა მოვიაზროთ. იგიც „ხორბლის თესლის ბედის განმასახიერებელ, გარდაცვლილ და მკვდრეთით აღმდგენელთა“ ძალის მქონედ მიიჩნეოდა და მიაწერდნენ სასიცოცხლო ძალას.

ღმერთი „დუმუზი“ სათავეს იღებს შუამდინარეთში მიწათ-მოქმედების შემოღებიდან.

ადრეული პერიოდიდან შუმერში ჩნდება ასევე „სამარ-თლიანობისა და ჩაგრულთა“ მფარველი ღმერთი „შამაში“, რომელიც ამავე დროს „ცისა და დედამიწის მსაჯულად“ ითვლებოდა.

აქაც, ისე როგორც ეგვიპტეში, ფარაონ-მეფეები, რომლებიც უმაღლეს სასულიერო პირებს წარმოადგენდნენ, თავიანთ თავებს თვლიდნენ ღმერთთა წარმომადგენლებად დედამიწაზე.<sup>12</sup>

სწორედ ამან განაპირობა ის გარემოება, რომ ასე ხანგრძლივად, ათასწლეულების მანძილზე, ხალხი ჰყავდათ და ჰყავთ უმეცრებასა და მორჩილებაში.

„ღმერთი“ და „რელიგია“, მეფეთათვის აღმოჩნდა ხალხთა მასებზე ბატონობის ყველაზე საუკეთესო მექანიზმებად.

ასე, ქურუმები და სამეფო ხელისუფლება, ხელიხელ ჩაკიდებული, როგორც ერთი მეორის დანამატი და ერთმანეთისაგან განუყოფელი, უძველესი დროიდან მოყოლებული აქნობამდე, ხალხის მოტყუებისა და მორჩილებაში ყოფნით, უზრუნველყოფენ საკუთარი კეთილდღობის მარადისობას.

მითოლოგიურად, ამქვეყნიური წესრიგი, ისე, რგორც სამყაროს, - კოსმიური წესრიგის განუყიფელ ნაწილად მიიჩნეოდა, ხოლო მის საწყისად – ღვთაებრივობა, ანუ ღმერთი მოიაზრებოდა.

ამგვარი ხედვიდან გამომდინარე, ადამიანური ცხოვრების, ისე როგორც საზოგადოებრივი, თუ სახელმწიფოებრივი მოწყობის, მათი ერთმანეთთან და ღმერთთან ურთიერთობის პირველ საწყისად მიიჩნეოდა ღმერთი. შესაბამისად, ძველ აღ-

მოსავლეთის ქვეყნებშიც, მეფეები თავიანთ ძალაუფლებისა და მათ მიერ მიღებული კანონების სათავეებად მიიჩნევდნენ ქვეყნის მთავარ ღმერთებს, რათა უფრო ურყევი ყოფილიყო მათ მიერვე (მონათმფლობელთა სასარგებლოდ) დამყარებული წესწყობილება.

ასე მაგალითად,

### I – ეგვიპტეში:

1. „ეგვიპტის მეფე „პტახოტეპას დარიგებაში“ (ძვ. წ. XXVIII ს) ხაზგასმულია: ყველა ბუნებრივად ერთმანეთის თანასწორია, თუმცა დადგენილი აქვს მეფისთვის მისაღები „ქცევის წესები“, მონათა დისკრიმინაცია აღიარებულია.<sup>13</sup>
2. „გერაკლეოპოლის მეფის შვილისადმი დარიგებაში“ (ძვ. წ. XXII ს) აღნიშნულია: „ღმერთის ქება და თუ ვინმე მოიქცევა უსამართლოდ, ან/და კანონსანინააღმდეგოდ, იმქვეყნად იგი ვერ მიიღებს ღმერთის წყალობას. ურჩევს შვილს, შეევედროს ღმერთებს, დაუწერონ კანონი.<sup>14</sup>
3. ამ მხრივ საინტერესოა „მკვდრების წიგნიც“.

### II – შუალები

1. „ურუკაგანის რეფორმებში“ (ძვ. წ. 2318წ) ნათქვამია: „ლაგაშის მეფე ურუკაგანმა“ ლაგაშის ღვთაება „ნინგირსუს-თან“ დადებული გარიგების თანახმად, შეადგინა „სარეფორმო კანონები, რომელშიაც გათვალისწინებულია ქურუმთა შეღავათები, ხოლო სამეფო კარის სასარგებლოდ, გადასახადებისა და ჯარიმების შემოღება.<sup>15</sup>

2. „ურ-ნამმის კანონებში“ (ძვ. წ. 2104-2095 წწ) აღნიშნულია, სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმომავლობის შესახებ. და თუ ვინმე დაარღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან/და დადგენილ კანონებს, ღმერთის სახელით მკაცრად დაისჯება<sup>16</sup>

3. „ლიფშით-იშთარის კანონები“ (ძვ. წ. 1934-1924 წწ) ლაპარაკობს, „ღმერთ უტუსა და ენლილის დახმარებით მან, მეფე ლიფშიტ იშთარმა აკადელებსა და შუმერებს დაუდგინა

კანონები, რომლის დამცველებიც დიდხანს ბედნიერად იცხოვრებენ, ხოლო დამრღვევნი – ცხოვრების ბოლომდე დაიტანჯებიან“<sup>17</sup>

4. „ეშნუნის კანონები“ (ძვ.წ. 1790წ), რომელიც თავისი დროის საუკეთესო სამოქალაქო კოდექსად ითვლებოდა, მის შექმნასაც ღვთაებრივ ძალებს მიაწერენ<sup>18</sup>.

5. „ხამურაბის კანონები“ (ძვ.წ. 1755-1752 წწ), მიღებულია ცისა და მიწის მსაჯულ „შამაშას“ ნებით, „მარდუკის“ სიტყვით და მისი ხელიდან.

„კანონის“ ღვთაებრივი წარმომავლობის შესახებ ხაზგასმულია ასევე პროლოგსა და ეპილოგში.

ტექსტი გვამცნობს: „ცისა და მიწის დიდი მოსამართლე „შამაშის ნებით“ და „მარდუკის სიტყვით“ დაე ბრნყინავდეს ჩემს მიერ ქვეყანაში დადგენილი წესრიგი და არავინ იყოს მისი დამრღვევი, და თუ ვინმე დაარღვევს მას, - ღმერთის სახელით დაისჯება მკაცრად“.

კანონში გადმოცემულია ასევე პაბილონის სამეფოს ადმინისტრაციული დაყოფის შესახებ, რომ იგი შესდგება 26 ქალაქისაგან და ჩამოთვლილია მათი მახასიათებლები, რაც ვფიქრობ გამოყენებულ იქნა „მოსეს სამართალში“, ისრაელთა „12 ტომიდან“ წარმომავლობისა შესახებ.

„ხამურაბის კანონები“ მოწოდებული იყო ქვეყანაში არსებული სოციალური უსამართლობის უკვდავსაყოფად.

მან იქონია უდიდესი გავლენა მეზობელი ქვეყნების კანონმდებლობაზე, ვიდრე დამყარდებოდა ქრისტიანობა.

ამ კანონსა და „მოსეს რჯულის“ კანონს შორის უამრავი პარალელის გავლება შეიძლება.

ყოველივე ზემოხსენებულის ფონზე, როდესაც უკვე ცნობილი იყო „რელიგიის“ მნიშვნელობა, საზოგადოების მოწყობა-განვითარების საქმეში და რომ უხილავ ღვთაების მუქარით შეიძლებოდა ხალხთა მასების მართვა, მათი მორჩილებაში ყოლვა, და მათგან შემოსავლების მიღება, აი მაშინ, კერძოდ კი ჩვ.წ.აღ. XI-X სს-ში, პალესტინის ტერიტორიაზე,

ასურეთ-ბაბილონიდან და არა მარტო, გადასულ, დაქსაქსულ მდგომარეობაში მყოფ, ეპრაელებად წოდებულ ქალდეველ ტომთაგან, მონოლითური, ძლიერი ეროვნული სახელმწიფოს შექმნის მიზნით, რომელსაც ამავე დროს ქურუმები გამოიყენებდნენ შემოსავლის წყაროდაც, მათმა ბელადებმა მიიღეს „რჯულის კანონი“ და ჩამოაყალიბეს იუდეური რელიგია, ანუ „იუდაიზმი“. პლატფორმად კი გამოიყენეს მამაკაცების წინდაცვეთის აუცილებლობა, უხილავი, სამყაროს „შემქმნელი“, ერთადერთ ღმერთ „იეჰოვას“ აღიარება და სხვა ღმერთების გმობა, რაც შემდგომი ათასწლეულების მანძილზე თანდათანობით განმტკიცებული იქნა, ე.წ. მოსეს „ხუთწიგნეულით“ (ტორი) და „წინასწარმეტყველთა“ რიგი ტექსტებით.

ვფიქრობ, მაშინ დიდი იქნებოდა გავლენა, ძვ.წ. VIII ს-ში, ირანში წარმოშობილი ზოროასტრიზმის, რომლის მიხედვითაც მისმა დამაარსებელმა -ზარატუსტრამ, ისტორიაში პირველმა მიიღო სიკეთის ღმერთ „ახურა-მაზდასგან“ „აღთქმა“ და იქცა პირველ წინასწარმეტყველად. რომლის მიხედვით მსოფლიოს განვითარების ისტორიის შინაარსი სხვა არაფერია, თუ არა სიკეთ-სიავის ღმერთთა ურთიერთჭიდილი, რაც სიკეთის ღმერთის გამარჯვებით დამთვარდება, და იგი განსჯის მათ, ვინც ამქვეყნიური ბოროტებით ეხმარებოდა სიავის ღმერთ „ახრიმანს“. ჩაყრის იგი მათ სატანჯველად ჯოჯოხეთში, სიკეთის მქმნელთ კი მიანიჭებს მარადიულ სიცოცხლეს.

პირველად ზარატუსტრასგან ვიტყობთ „სამოთხისა და ჯოჯოხეთის“ არსებობის შესახებ.<sup>19</sup>

თუმცა, არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ „ძველი აღთქმის“ წყაროებში, ისევე როგორც „ახალ აღთქმაში“, - გამოყენებულია ძვ. წ.აღ. VI ს-ის მოღვაწე, ჩინელი ფილოსოფოსის – ლამძის „დაო-დე-ძინის“ ძირითადი დებულებები.

კერძოდ, სადაც იგი ამბობს:

„დაო მამაა ყოველი არსის“<sup>20</sup>

„დაო“ შობს ყოველ არსს“<sup>21</sup>

## ვუარყოთ სიცრუის მანებია და შემოვისარტყლებთ სიმართლის ჯავშანით! —————

„უკვდავია სული უწმინდესი,  
იგი მდედრია დაფარულისა,  
საშო, საიდანაც იშვის.  
დასაბამია ცისა და მიწის.  
დაუსრულებლად იქმს და იძვრის.  
ვინც დაეუფლება უწმინდეს სულს,  
გაუკვდავდება.“<sup>22</sup>

„დიადი დე დაოდან ამოვლინდება.  
დაო უსახიერია და აუხსნელი.  
და უძიროა და წყვდიადოვანი.  
მაგრამ უმაღლესი ყოფიერებაა,  
ყოველი არსიც მისით იშვის“<sup>23 \*</sup>

როგორც ზემოთ ვახსენეთ, „ქალდეველ ტომთა“ ბელა-დებმა, პალესტინაში შექმნეს სახელმწიფო ისრაელი, რათა იგი ექციათ თავიანთი შემოსავლების წყაროდ. რამეთუ სხვა აზრი ვერ გაგიჩნდება ადამიანს, როდესაც გაეცნობი „მოსეს რჯულის“ კანონს, რადგან იგი საგადასახადო კოდექსი გე-გონება.

ეს ერთი შეხედვით. მაგრამ თუ სიღრმისეულად ჩავუკვირდებით, მის და შემდგომ მისგან ამოზრდილ „ახალ აღთქმას“ (ქრისტიანულ რელიგიას), რომლის კვალობაზეც მოგვიანებით შეიქმნა ისლამი, დავინახავთ, რომ ებრაელთა მიერ ძვ.წ. X საუკუნეში „შექმნილი“ რელიგიის ძირითადი კანონი (ტორი), „ძველ აღთქმაში“ მოცემულ წინასწარმეტყველთა „ნიგნებთან“ ერთად, წარმოადგენს მსოფლიოზე განაწყენებულ ებრაელთა მის წინააღმდეგ შეთქმულების დაშიფრულ ტექსტს. ხოლო იუდაიზმის ლოგიკური გაგრძელება ქრისტიანობა, „ახალ აღთქმასთან“ ერთად, ამ ამოცანის გადაჭრის პოლიტიკურ მექანიზმს.

\* ვფიქრობ, ქრისტიანული „სამების იპოსტასიც“ – მამა - ღმერთი, ძე - ღმერთი და სული – წმინდა - აქედან უნდა იყოს აღებული. რამეთუ „დაო“ - ში დასახახია „მამა-ღმერთი“, „დე“-ში - „ძე-ღმერთი“, „სული-წმინდა“ კი გადმოტანითვეა მიღებული.

დასახული მიზნის მიღწევას ებრაელობა ცდილობს უკვე მესამე ათასნლეულია და სავარაუდოდ მიაღწევს კიდეც- თუმცა, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ იუდეისტუ- რი რელიგია, თავისი დოგმებით, ერთი მხრივ, უბრალო ებრა- ელ ხალხს, ვიდრე ძირითად მიზანს მიაღწევდნენ, ქურუმთა კეთილდღეობის წყაროდ აქცევს, ხოლო მეორე მხრივ, გა- ნაწყობს რა მსოფლიოს დასაპყრობად და მასზე გასაბატონე- ბლად, სძენს მათ სტიმულს და ააქტიურებს.

სწორედ ამ ვითარების სამხილად დაწერილია მოცემული წიგნი და ანალიზი უკეთდება ბიბლიას.

## ნაცილი II. გიგლია სიცრუის კოდონანია?

### თავი I.

იუდაიზმის შექმნის ფაქტობრივი გარემოებები და მისი შემდგრომი განვითარების რეალური ისტორია

#### \$ 1. ცყაროები

„იუდაიზმის“ იდეოლოგიურ პლატფორმას საფუძვლად დაედო მანამდე ახლო აღმოსავლეთსა და ეგვიპტრეში არსე- ბული მითები და ისტორიული ფაქტები. ამიტომაც „თორი“ შეიძლება მივიჩნიოთ უფრო გვიან არსებული ძველი მსოფ- ლიოს მით-ლეგენდათა კრებულად, ვიდრე წმინდა სემიტურ ძეგლად.

ისე კი, აღნიშნული, თავის მხრივ განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ახალი წეს-წყობილების ჩამოყალიბებისას, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ მანამდე არსე- ბულ ეკონომიკურ, სამართლებრივ თუ პოლიტიკურ კონცეფ- ციებს. ამიტომაც ებრაელებმა, რომლებსაც კარგა ხნის წინათ

უკვე დაკარგული ჰქონდათ თავიანთი სახელმწიფო ბრივი მოწყობის კულტურა, უნდა ვივავრაუდოთ, რომ მოიშველიეს მეზობლების გამოცდილება.

კერძოდ, ეგვიპტური „პტახოტენის დარიგებანი“, „მკვდრების წიგნი“, „გერაკლეოპოლისის მეფის დარიგებანი“ და სხვა;

შუმერული კანონები: „ურუკაგანის რეფორმები“, „ურ-ნამმის კანონები“, „ლიფშით-იშთარის კანონები“, „ეშნუნის კანონები“, „ხამურაბის კანონები“. შემდგომი ცვლილებებისას კი, - „ზარატუშტრას მოძღვრება“, ლაო-ძის „დაო-დეძინი“ და სხვა. აღნიშნულს ადასტურებს მათსა და „ძველი და „ახალი“ აღთქმების ეპიზოდებს შორის უამრავი პარალელის გავლების შესაძლებლობა. მაგ, მოსეს „ბიოგრაფია“ წარმოადგენს ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში მოღვაწე აკადის მეფე, - სარგონის ბიოგრაფიის პროტოტიპს. რამეთუ, მითის მიხედვით სარგონიც მამის გარეშე გაზრდილა. გაჭირვების გამო დედამისს, ჯერ კიდევ ჩვილი, ჩაესვა კალათაში, გაესანთლა იგი და მდინარისათვის გაეტანებინა. ბავშვი დაეჭირა ვიღაც უცხოს, ამოეყვანა წყლიდან და გაეზარდა მეფის კარზე, სადაც მოგვიანებით თვითონ გახდა მეფე და დაიპყრო მიწები ზღვამდე.<sup>24</sup>

„ერთლმერთიანობა“, ებრალებმა, სავარაუდოდ გადმოიღეს, თუნდაც ვივარაუდოთ მოგვიანებით, სპარსული რელიგია ზოროასტრიზმისაგან („ახურა მაზდის“ ანალოგად), ისე, როგორც „ეშმაკი“, - „ახრიმანის“ პროტოტიპად, რომელიც თავდაპირველად წარმოდგენილი ჰყავდათ „იეჰოვას“ დონეზე, შემდეგ კი სცენას ჩამოაშორეს, ვიდრე არ გამოაჩინეს „მესია“.

„მოსევ“, ხამურაბივით ღმერთ „იეჰოვასაგან“ იღებს კანონებს და იგიც მასსავით, ღმერთის სახელით ემუქრება ხალხს დასჯით, თუ კი ისინი არ დაიცავენ მას.

კათოლიკური ღვთისმეტყველების ლექსიკონის მიხედვით, „ღვთის სიტყვა“ მოპარულია კერპთაყვანმცემლებთაგან. მისი „სამოთხე“, „ადამი“ თუ „ევა“, აცხადებენ, რომ

აღებულია მითებიდან. „კიდობანი“, „არარატი“ და „ნოეს შვილთა სახელები“, ისე როგორც „აბრაამის“ მიერ, მისი შვილის „ისააკის ღმერთშეწირვის“ და „სოლომონის მსაჯულობა“, – გადმოღებულია, ე.წ. „ოთხმოთხრობად“ წოდებული თხზულებიდან.

ებრაელთა „მესია“ გადმოღებულია ეგვიპტური „მახა-დიდან“, ხოლო „იესო“, - „გორომიდან“, რომელთა შორის 147 მსგავსებაა. ასევე „იესოსა“ და „კრიშნას“ შორის უამრავ თანხვედრას ვხედავთ.

ღმერთ „ბელ-მარდუკის ვნებების“ შესახებ „აშურის მონასტრის“ ბიბლიოთეკაში დაცული ცნობიდან ვგებულობთ, რომ იგი ვიღაც ბოროტმოქმედთან ერთად, სახალხოდ დაუსჯიათ. სიკვდილის შემდეგ კი, - მასთან, სამარეში ჩასულა ქალღმერთი, გაუცოცხლებია იგი და აღუდგენია მკვდრეთით, რომელიც შემდეგ ამაღლებულა ცად. ხოლო დასჯის მომენტში, ქაოსსა და ტრაგედიებს ჰქონია ადგილი.<sup>27</sup>

ამ მითის გავლენაც აშკარად შეინიშნება „ქრისტეს ჯვარც-მასა და მის მკვდრეთით აღდგენაზე“.

მთლიანად, „ბელ-მარდუკისა“ და „იესო ქრისტეში“ რეალიზებულია შუმერულ ღმერთ „დუმუზის“, იგივე ეგვიპტურ ღმერთ „ოსირისის“ მნიშვნელობის იდეა, რომ „ხორბლის თესლი ჯერ კვდება, ლპება, შემდეგ კი განიცდის აღდგენას“. ამ იდეასა ამოფარებული, ასევე, „მეორედ მოსვლის“ შემდეგ გარდაცვლილთა „აღდგომა“ და მათ მიერ ხელახალი ცხოვრების დაწყების მისტიური კონცეფციაც.

მთლიანად კი, კაცობრიობის განვითარების შესაძლო ისტორია აღებულია ზარატუსტრასგან, რომელსაც წარმოდგენილი აქვს „სიკეთისა“ და „ბოროტების“ ღმერთთა ჭიდოლის სახით, რაც ვითომდა მთვარდება „სიკეთის ღმერთის“ გამარჯვებით, რომლის შემდეგაც იგი ვითომდა გამართავს ღვთის სამსჯავროს.

## ვუარყოთ სიცრუის მანებია და შემოვისარტყლეთ სიმართლის ჯავშანით! —————

### \$ 2. პიგლიის ზოგადი დახასიათება\*

ვეხებით რა „იუდაიზმს“, რომლის ლოგიკურ გაგრძელებასაც „ქრისტიანობა“ წარმოადგენს, „იუდაიზმის“ ფუძემდებლურ წყაროებთან ერთად (მოსეს „ხუთწიგნეული“), შევეხებით ასევე ქრისტიანობის წყაროებსაც, ანუ ზოგადად ბიბლიას, რომელიც ე.წ. „ძველი და ახალი აღთქმებისაგან“ შესდგება და გადმოგცემთ მათ ტრადიციული მიდგომის ფორმატით.

ბიბლია მოიცავს დაახლოებით 50-მდე წიგნს, თუმცა ძნელია ზოგიერთ მათგანს ვუწოდოთ წიგნი, რადგან სულ რამდენიმე ფურცლისაგან შედგება. დადასტურებულია, რომ თითოეული მათგანი, რომელიც სხვადასხვა შინაარსისაა, შედგენილია სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა პირთა მიერ, რაც ძვ.წ. I ათასწლეულში - თანდათან გამოვლენილი იქნა.

მათი ერთ წიგნად მიჩნევა კი, როგორც ამბობენ, მათი საერთო საეკლესიო კანონიკურობამ განაპირობა.

იუდაიზმი, წიგნის „ძველი აღთქმის“ ნაწილს მიიჩნევს წმინდად, ქრისტიანობა კი - „ახალი აღთქმის“ ნაწილთან ერთად, „ძველი აღთქმის“ ნაწილსაც. ხოლო ისლამი, - მხოლოდ „ძველი აღთქმის“ ნაწილს.

„ძველ აღთქმას“ უკავია ბიბლიის 3/4 ნაწილი, „ახალ აღთქმას“ კი - 1/4.

„ძველი აღთქმის“ ტექსტები და მათი შემადგენლობ, იუდაიზმსა და ქრისტიანობაში ერთმანეთს არ ემთხვევა.

არა „კანონიკური წიგნები“ იუდეურ ბიბლიაში საერთოდ არ მოიპოვება, „მართლმადიდებლურ“ და „კათოლიკურში“ კი, - არსებობენ.

ამის შესახებ მართლმადიდებლურ ბიბლიაში მინიშნებულია, კათოლიკურში კი, - მეორეხარისხოვან კანონიკურადაა ცნობილი.

პროტესტანტები კი, მათ, არაწმინდა წერილებად, არამედ

\* ამ პარაგრაფში ძირითადი ინფორმაცია გადმოტანილია წიგნიდან, И.А. Крывелев - « Библия: Историко-критический анализ» М. 1982 г.

კანონიკურებად მიიჩნევენ. ანუ, ადგილი აქვს ეკლესიათა მხრიდან ბიბლიისადმი არაერთგვაროვან დამოკიდებულებას.

„ძველი აღთქმის“ პირველი „ხუთი წიგნი“, რომელიც მოსეს გადასცა ღმერთ „იეჰოვამ“ სინას მთაზე, - ითვლება „რჯულის კანონად“. რეალურად კი ისინი, როდის იქნენ შედგენილნი, - მოგვიანებით გაცნობებთ.

„მოსეს წიგნები“, უმთავრესია „ძველ აღთქმაში“ და მას „თორი“ ეწოდება.

მათ შემდეგ სხვადასხვა წინასწარმეტყველთა სახელით შედგენილია 50-მდე წიგნი და გადმოცემულია „ძველ აღთქმაში“.

მათგან ისტორიული ხასიათის წიგნებად მიიჩნევა: „მსაჯულთა წიგნი“, „ოთხმეფეთა წიგნი“, „ორ ნეშტთა წიგნი“, „ეზრასა“ და „ნეემის“ წიგნები.

წიასაწარმეტყველთა წიგნებად ითვლება „ისაიას“, „იერემიას“, „ეზიკელის“, „დანიელის“, „ოსიას“, „იოველის“, „ამოს“, „ავდიასა“ და სხვათა წიგნები.

გადმოცემულია ფილოსოფიური ხასიათის ტრაქტატებიც, საგალობლები, ფსალმუნები და ლირიკულ-ეროტიკული პოემაც, რომლებსაც საერთო არაფერი გააჩნიათ, როგორც ერთმანეთთან, ისე რელიგიასა და ღმერთთან.

„ახალი აღთქმა“ კი შესდგება 27 - კანონიკური წიგნისაგან, რომლებიც დალაგებულია ეკლესიის მიერ მათი „მიღების“ მიხედვით.

ჯერ „სახარების“ ოთხთავია (მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს) წარმოდგენილი, შემდეგ კი, - „მოციქულთა საქმეები“ და მათ მიერ გაგზავნილი 21 წიგნი. მათ შორის 14 პავლესი და ბოლოს „აპოკალიფსი“.

„ახალ აღთქმაში“ არა კანონიკური წიგნები არ მოიძიება.

ასე რომ, ბიბლია შედგება სხვადასხვა დროს დაწერილი, სხვადასხვა უანრისა და ხასიათის წიგნებისაგან, და მიუხედავად ამისა, იუდაიზმისა და ქრისტიანობის იდეური ერთობიდან გამომდინარე, მათ ერთ წიგნად მოიხსენიებენ.

## ვუარყოთ სიცრუის მანებია და

## შემოვისარტყლეთ სიმართლის ჯავშანით! ——————

რეალურად კი, ბიბლია წარმოადგენს სხვადასხვა შინაარის მქონე ნაწარმოებთა კონგლომერატს, რომლებსაც ერთი მეორესთან არანაირი საერთო არ გააჩნიათ.

მათ გამაერთიანებლად კი, ქრისტიანობის იდეოლოგები მიიჩნევენ რწმენის საფუძვლად მიჩნეულ ერთ საერთო ღმერთის არსებობას.

სინაგოგა, მალავს რა იუდეველთა კაცობრიობის წინააღმდეგ შეთქმულების ბიბლიაში დაშიფრული ტექსტის არსებობას, რაც ასევე განაპირობებს „ძველი და ახალი აღთქმების“ ერთობლივ წარმოდგენას, - ბიბლიის სახით ერთ წიგნად გამოცემას ასაბუთებენ, ვითომდა მათი საერთო ჭეშმარიტების უმაღლეს წყაროდ მიჩნევისა და საყრდენად გამოყენების გამო.

დადგენილია, „ძველი აღთქმის“ ტექსტები პირველად დაწერილია ძველ ებრაულ ენაზე, მისი ზოგიერთი ფრაგმენტი კი, - არამეულ ენაზე, ხოლო „ახალი აღთქმის“ ტექსტები, - ძველ ბერძნულ ენაზე.

არსებობს მოსაზრება, რომ მათეს სახარება პირველად დაიწერა არამეულ ენაზე, შემდეგ კი გადათარგმნეს ბერძნულ ენაზე, თუმცა არამეულ ენაზე შესრულებული ტექსტიდან არაფერია შემორჩენილი.

„ძველი აღთქმა“ ადრეულ პერიოდშივე გადათარგმნეს ბერძნულ ენაზე და მას „სამოცდაათიანს“ უწოდებენ.

მისი ასეთი სახელწოდების საფუძველი კი ის გამხდარა, რომ ლეგენდის მიხედვით „ძველი აღთქმის“ შექმნის შესახებ შეეტყო რა ეგვიპტის მეფე – ფტოლომეი ფილადელფის, მას თავის კარისკაც, - ებრაელ არისტოსათვის ებრძანა, გაეკეთა ორგანიზება მისი ბერძნულ ენაზე გადმოსათარგმნელად და მასაც იერუსალიმის მთავარ ეპისკოპოსს – ელიაზარისათვის გაეგზავნა მოთხოვნა, მათთან მთარგმნელების გაგზავნის შესახებ. ელიზარსაც ვითომდა მისთვის გაეგზანა 72 მთარგმნელი, 6-6 კაცი, თითქოსდა თითოეული ტომიდან. დაესახლათ ისინი კუნძულ ფაროსზე და ერთმანეთისაგან

იზოლირებულად, ვითომდა თითოეულ მათგანს 70 დღეში მთლიანად გადაეთარგმნა „ხუთწიგნეული“. ხოლო როდე-საც ნათარგმნი შეედარებინათ ერთმანეთისათვის, ტექსტები ერთმანეთს სიტყვა-სიტყვით დამთხვეოდა.

ფაქტობრივად კი საქმე ყოფილა შემდეგნაირად: როგორც ირკვევა, ძვ. წ. უკანასკნელ ასწლეულში ალექსანდრიაში ყოფილა ებრაელთა მრავალრიცხოვანი კოლონია, რომლებ-საც დავიწყებული ჰქონიათ თავიანთი ენა და ლაპარაკობენ ბერძნულ ენაზე. სწორედ მათ გადაუთარგმნიათ ეს „ძველი აღთქმა“ თავიანთვის ებრაულ ენაზე. ასე, თანდათანობით გაჩენილა „ძველი აღთქმის“ სხვადასხვა ვერსია.

ახ.წ. IV ს-ის დამდეგს, იერონ ნეტარს, ბიბლია გადაუ-თარგმნია ლათინურ ენაზე, რომელსაც თანდათანობით მოუპოვებია ავტორიტეტი და გავრცელებულა ხალხში. ბო-ლოს კი ქცეულა ოფიციალურ ტექსტად, რაც დაუდასტურე-ბია კათოლიკურ ეკლესიას XVI ს-ში. თუმცა თავადაც მრავ-ლად შეუტანია შესწორებები და დამატებები.

როგორც კათოლიკური, ისე მართლმადიდებლური ეკლე-სია, თავიდანვე წინააღმდეგი ყოფილა ბიბლიის სხვადასხვა ენაზე თარგმნის, რისდა მიუხედავად IX ს-ში გამოჩენილა ბიბ-ლიის სლავური ვერსიაც, შედგენილი კირილესა და მეფოდის მიერ.

XIX ს-ში კი, ყველა ქრისტიანულ ეკლესიას დაუწყია ბიბ-ლიის თარგმნა თავის ხალხთა ენებზე. დღეის მდგომარეობით კი, - ბიბლია გადათარგმნილია თითქმის მსოფლიოს ყველა ერის ენაზე.<sup>28</sup>

თუმცა, ცოტა ვინმე თუ ხვდება მის რეალურ არსა და მი-ზანს.

### § 3. მცდელობა, პიპლიის ქცევის ეფალონად გადაქცევის შესახებ

ქრისტიანები და მათი იდეოლოგები ბიბლიის ჩაჭიდებიან, როგორც სულიერების უმაღლეს ღირებულებას და თვლიან „წიგნთა-წიგნად“. მიიჩნევენ, რომ იგი არის სიბრძნის, მშვენიერებისა და კეთილშობილობის ეტალონი.

ბიბლიის შესაფასებლად მეტად მნიშვნელოვანია მასში მოხერხებულად და ეშმაკურად ერთმანეთში არეული მისი „მუდმივი“ და „ცვალებადი“ სახეებისა და მცნებები სათანა-დოდ გარკვევა.

1979 წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ეკუმენურ, ლუთერანულ – ევანგელისტთა და კათოლიკ-თეოლოგთა ჯგუფმა, რომელიც იხილავდა ეკლესიათა გაერთიანების საკითხს, - ბიბლია მიიჩნია ეკუმენური მიმდინარეობის ბაზისად, „ნორმათა – ნორმად“. და ჩათვალეს, რომ იგი ჭეშმარიტების საბოლოო და უკანასკნელი ინსტანციაა. ხოლო, ყოველივე, რაც კი რამ არსებობს ქვეყნიერებაზე, - მისით უნდა განისაზღვროს! აი, ასე სურთ სიონისტებს აქციონ „იუდაიზმი“ გლობალიზმის მთავარ იარაღად, ვიდრე „წუთისოფლის აღსასრულამდე“, რომ მიმდინარე გლობალური პროცესები დაუახლოვონ ბიბლიურ წინასწარმეტყველებას, რაც მას მეტ დამაჯერებლობას შესძენს.

„ძელი აღთქმის“ განმარტების შესახებ, ამერიკაში გამოცემული 12 ტომეული იუნიება, რომ „ეკლესიური ცხოვრებისა და რწმენისათვის“ არსებობს მხოლოდ ერთი, საბოლოო და აბსოლუტური ავტორიტეტი, და ეს ცოცხალი ქრისტე იესოა, რომელიც გველაპარაკება ვითომდა წმინდა სულის მეშვეობით.

ცნობილი კათოლიკოსი –დანიელ როპი, ბიბლიის შესახებ წერს, რომ იგი ვითომდა ერთადერთი წიგნია, რომელიც ამოუწურავია ღმერთისა და ადამიანის შესახებ.

ქრისტიანული აღზრდა ითვალისწინებს არა მარტო ქრისტიანული რწმენის განმტკიცებას, არამედ ცხოვრებაში ბიბ-

ლიით ხელმძღვანელობასაცო.

„ძველი აღთქმა“, იუდეველთათვის წარმოადგენს ებრაელთა და არა სხვა ერთა მიერ ღმერთ „იეჰოვას“ ხილვას, რომელშიაც წარმოდგენილია „რჩეულ ერთან“ „გარიგების დადება“.

„თორის“ გარეშე შეუძლებელი იქნებოდა იუდაიზმის არსებობა, იუდაიზმის გარეშე კი, – ებრაელი ერის.

რაც შეეხება ისლამს, მას ბიბლია მიაჩნია ყურანის მოსამზადებელ პლატფორმად, ხოლო მოსე და იესო, - მუჰამედის წინამორბედ წინსწარმეტყველებად.

ასე რომ, ბიბლია წარმოადგენს იუდაიზმის, ქრისტიანობისა და ისლამის იდეოლოგიურ წყაროს და ფაქტობრივად დღეს მასზე დაფუძნებული მსოფლიო ცივილიზაციაც.

ამიტომაც შევეცადე გამეანალიზებინა ბიბლია, თუ რამდენად შეესაბამება იგი რეალობას.

რელიგიური იდეოლოგები უფრო შორს მიდიან და ცდილობენ შეიჭრნენ ადამიანთა გონებაში, გააჩნიათ პრეტენზია მათ სულიერ, და სოციალური ცხოვრების ყველა ასპექტზე.

ამიტომაა, რომ ბიბლია ფართოდ გამოიყენება მსოფლიოში, მათ შორის ფიცის დადების დროსაც პრეზიდენტთა მიერ ზოგიერთ ქვეყანაში.

იუდეველ – ქრისტიანთა მამები, ყველა ღონეს ხმარობენ, რომ ყველა ერმა და ბერმა იცხოვროს ბიბლიის მიხედვით, რათა ერთობლივად განემზადნენ ქრისტეს „მეორედ მოსვლის“ შესახვედრად.

ამ მიზნით, ბიბლიურ თემატიკაზე მუშაობს უამრავი ღვთისმეტყველი, ატარებენ კვლევებს, წერენ სამეცნიერო და პოპულარულ წერილებს, გამოსცემენ წიგნებს და სხვა უამრავი ხასიათის ლიტერატურას, რათა მოიცვან ყველას გონება და გახადონ ისინი ეკლესიაზე დამოკიდებულნი! ისე რომ, ბიბლიას ჯერ კიდევ არა აქვს დაკარგული თავისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა. <sup>29</sup>

**ვუარყოთ სიცრუის მანებია და  
შემოვისარტყლეთ სიმართლის ჯავშანით!**

---

#### **§ 4. პიგლიური წიგნების რეალური ნარმობაზ- ლობა\***

თანამედროვე კათოლიკური ღვთისმეტყველების ლე-  
ქსიკონის მიხედვით, „ძველი აღთქმის“ წიგნების წარმოშობა  
ასეთია:

მოსეს „ხუთივე წიგნი“ დაწერილია მოსეს მიერ, ფსალ-  
მუნები, – დავითის მიერ, სიბრძნის წიგნი – სოლომონის მიერ,  
ისაიას წიგნის - 66 თავი, - ისაიას მიერ, - ძ.ნ. VIII საუკუნეში.

თალმუდური ტრაქტატი „ბაბა-ბატრა“, „ძველი აღთქმის“  
წიგნების წარმოშობის ავტორების შესახებ განმარტავს:  
მოსემ დაწერა თავისი „ხუთივნეული“ და „ვაალამისა“ და  
„იოვას“ ნაწილი, იესო ნავინმა, თავისი წიგნი და „რჯულის 8  
კანონი“, სამუელმა – თავისი წიგნი და „წიგნი მსაჯულთა“ და  
„რუფის შესახებ“, იერემიამ – თავისი წიგნი და წიგნი „მეფთა  
შესახებ“, აგრეთვე - „გოდება“.

დიდი სინაგოგის მამებმა დაწერეს „იეზიკელი“, 12 წინას-  
წარმეტყველი, „დანიელი“ და „ეზრა“. ეზრამ კი დაწერა თავი-  
სი წიგნი და „პარალიპომენთა შთამომავლობა“, - თავის პერი-  
ოდამდე.

„ბიბლიური ღვთისმეტყველების ლექსიკონის“ მიხედვით  
შეუძლებელია ბიბლია ჩაითვალოს ღვთის სიტყვად<sup>30</sup> (იხ. ლე-  
ქსიკონის მე-11 გვ).

სინაგოგური ეკლესიის მიხედვით, ღმერთმა, მოსეს მეშვე-  
ობით ებრალებს მისცა „რჯულის კანონი“ ძ. ნ. XV ან/და XIII  
ს-ში, რათა ეხელმძღვანელათ მისით.

ამ „კანონით“ მოცულია საზოგადოებრივი, ოჯახური, სა-  
მურნეო და სულიერი ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტი.

განსაკუთრებით აღნიშნულია ღვთისმსახურობის რიტუა-  
ლის წესები, საეკლესიო კარვის მოწყობა, მისი აღჭურვილო-  
ბა და ექსპლოატაციის წესები.

ხაზგასმულია, რომ მღვდელმსახურება უნდა გასწიონ

---

\* ამ პარაგრაფში ძირითადი ინფორმაცია გადმოტანილია წიგნიდან,  
И.А. Крывелев – « Библия: Историко-критический анализ» М. 1982 г.

ლევიტელთა ტომის წარმომადგენელებმა, რაც მათ იმთავითვე ხდის პრივილეგირებულ ქურუმთა ფენად, თუმცა მოგვიანებით მათ უღალატეს „ღმერთს“.

დადგენილი წესები თუ ფაქტები არაერთხელ მეორდება, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ მათ ავტორებს გამოყენებული აქვთ სხვადასხვა წყაროები, ხოლო ნაწერი ტექსტები, ერთმანეთთან მიბმული აქვთ მექანიკურად.

საკითხავია, თუ ღმერთმა ებრაელებს მისცა რჯული ეგვიპტიდან გამოსვლისას, და მათ, ამ რჯულის მიხედვით უნდა ეცხოვრათ, მაშინ რატომ არაფერია ნათქვამი აღნიშნულის შესახებ მათ უძველეს ისტორიულ წყაროებში, რაც დღემდე არაა გამოვლენილი.

„ხუთწიგნეულის“ ყველა დებულება აწყობდათ ქურუმებს, წინასწარმეტყველებსა და საერთოდ გაბატონებულ ფენებს. ამიტომაც მათი არსებობის შემთხვევაში, ისინი ყველანაირად შეეცდებოდნენ მათ შენარჩუნებას, რომ არ დაეკარგათ.

აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს „ხუთწიგნეული“ შეთხზულია მოგვიანებით, თუმცა განვლილი პერიოდის გააზრებით. შესაბამისად, ძნელი სარწმუნოა „ხუთწიგნეულის“ ავტორად მოსეს მიჩნევა, ისე როგორც იესო ნავინის ავტორობა მისი სახელით შედგენილ წიგნზე.

აღნიშნულ ვითარებათა გამო, ამ ბოლო პერიოდამდე, ეკლესია კრძალავდა კრიტიკას მოსეს ავტორობის თაობაზე.

არ აქცევდნენ ყურადღებას იმ გარემოებას, რომ „ხუთწიგნეულში“ აღნერილია, თუ როგორ მოკვდა მოსე, და რომ უცნობია მისი საფლავი. შესაბამისად, მოსე აღნიშნულს თავის თავზე ვერ დაწერდა (მეორე კანონი, 34).

საკითხავია, როგორ გავიგოთ ისიც, რომ მოსე თავის თავზე მოგვითხრობს მესამე პირში და სისტემატურად იქებს თავს.

მოსეს სახელით შედგენილ ტექსტებს არაერთხელ აქვთ გაკეთებული დამატებები და შესწორებები (წარლვნის 6-9 თავები).

## ვუარყოთ სიცრუის მანებია და

## შემოვისარტყლენით სიმართლის ჯავშანით! ——————

ბიბლიის ისტორიული ანალიზი მოწმობს იმ გარემოებას, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში არაერთმა ადამიანმა იმუშავა მასზე. „ხუთწიგნეულის“ მოსესებრ ავტორობას უარყოფს ასევე ბიბლიური ღვთისმეტყველების ლექსიკონიც, რომელშიაც გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი შეიძლება გვიანდელ ეპოქაში შექმნილიყო, - ვიდრე დავითის.

თუმცა, არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ შეიძლება „ხუთწიგნეულის“ ძირითადი დებულებანი დავითამდე არსებულიყო ზეპირსიტყვიერი სახით, მოგვიანებით კი მათვის მიეცათ წერილობითი სახე.

თვით მოსეს ისტორიული არსებობის შესახებ თქმულებაც, - მითად უნდა მივიჩნიოთ, რამეთუ მას მხოლოდ იდეური წარმოსახვის ფუნქცია გააჩნია.

აქედან გამომდინარე, ეგვიპტიდან ებრაელთა გამოსვლაც და მოსეს სინას მთაზე ყოფნაც, ისე როგორც მისი იქ, ღმერთ „იეჰოვასთან“ საუბარი, რომლის არსებობაც დაუჯერებელია, - მითად უნდა იქნეს მიჩნეული.

ამგვარ დასკვნამდე მისული გამოჩენილი მკვლევარები: ფრანგი – ჟ. ასტრუკი (1684-1766), გერმანელი – ვ. მ. დე ვეტტე (1780-1849), კ.გ. გრაფი (1815-1869), გ. გუფელდი (1796-1866), ე. რეისსი (1804-1891), ი. ველგაუზენი (1844-1918), ჰოლანდიელი ა. კიუმენი (1828-1891) და სხვები.

მართალია, ებრაელთა პირველი წერილობითი წყაროები ჩნდება ისრაელის ორად გაყოფამდე, რაც მოხდა სოლომონის სიკვდილის შემდეგ, კერძოდ კი ძვ.წ IX ს-ში, თუმცა ქვეყნის დაყოფა შეტანილია „ხუთწიგნეულში“.

სოლომონის ტაძრის აშენების შემდეგ კი, რეალურად ჩაეყარა საფუძველი სამწერლო საქმიანობას.

ისრაელის სახელმწიფოს ორად გაყოფის შემდეგ, მის ჩრდილოეთ ნაწილს ეწოდა ისრაელი, ხოლო მის ღმერთს - „ელოხიმი“. სამხრეთ ნაწილის კი – იუდეა, რომელმაც ღმერთად შეინარჩუნა „იეჰოვა“ (იახვე).

მეფეთა IV წიგნში ნათქვამია, თითქოსდა მეფე იოსის მე-

ფობის მე-18 წელს, ანუ ძვ.წ. 621 წელს იერუსალიმის ტაძარში ეპოვათ „კანონთა წიგნი“, რომელსაც მოსეს „მეორე კანონი“ უწოდეს. ტაძრის წინ შეკრიბეს ხალხი და იგიც აღიარეს (IV მეფეთა, 23:3).

ამ ღონისძიებამ შორეული მიზანი დასახა. „რჯულის მეორე კანონი“ მოსეს ადრეულ დებულებებს სხვანაირ ინტერპრეტაციას უწევს.

ძვ.წ. I ათასწლეულამდე, სავარაუდოდ, ებრაელებს პალესტინაში გააჩნდათ თემურ-გვაროვნული წყობილება, მერე კი დაიწყო მისი რღვევა და მონათმფლობელური სახელმწიფოს ჩამოყალიბება.

ძვ. წ. 1020 წელს წარმოიშვა იუდეველთა პირველი სამეფო, რომელმაც იარსება 933 წლამდე.

უნდა ითქვას, რომ არაა გამორიცხული ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში თვით ეგვიპტეც ყოფილიყო დაინტერესებული. რამეთუ იმხანად, „ზღვის ხალხი“, რომლებსაც უკვე განადგურებული ჰქონდათ ხეთების იმპერია, - მოიწევდნენ სამხრეთით და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ისრაელთა სახელმწიფოს სახით, მათ შუამავალი თვადაცვითი რგოლი შეექმნათ, სადაც ალბათ გაასახლეს, ასევე მათთან არსებული უამრავი მონა, რომელიც ერთ ეგვიპტელზე მოდიოდა ათობითი და მეტი რაოდენობით, რათა მტრის შემოსევის შემთხვევაში, ისინი არ გადასულიყვნენ მათ მხარეზე და არ გაეადვილებინათ მტრისთვის ქვეყნის დაპყრობა.

საკითხავია, ამიტომ ხომ არაა ნახსენები ყურანში, „ებრაელები ეგვიპტიდან გამოყარესო“ (ყურანი 2:247).

ორ ნაწიალდ გაყოფილ ისრაელის სახელმწიფოებს შორის ჩამოვარდა მტრული ურთიერთობა და მათ სხვადასხვა ბედი ეწიათ.

ძვ.წ. 722 წელს ისრაელი დაიპყრო ასურეთმა, სარგონ II-ის მეფობის დროს, რომელმაც მისი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი გადაასახლა შუამდინარეთში, ხოლო მათ ადგილას ჩაასახლა თავისი ხალხი, რომლებსაც სამარიელები ეწოდათ.

აღნიშნულ ვითარებათა გამო ისრაელმა დაკარგა თავისი ეთნიკური სახე. თუმცა სამარიელებმა მალევე მიიღეს მათი რელიგია, მაგრამ მათ ებრაელები იუდეველებად არ მიიჩნევდნენ.

ქვეყნის სამხრეთ ნაწილმა, - იუდიამ კი თვისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა შეინარჩუნა ძვ.წ. 586 წლამდე, ვიდრე იგი არ დაიპყრო ბაბილონის მეფე – ნაბუქოდორნოსორმა და მისი მოსახლეობის ზედა ფენა არ გადაასახლა ბაბილონში.

დაახლოებით 50 წლის შემდეგ კი, სპარსეთის მეფე კიროსმა კი დაიპყრო ბაბილონი და დატყვევებული ებრაელები, რომელთა რაოდენობაც რამდენიმე ათეულ ათასს თუ შეადგენდა, - დააბრუნა სამშობლოში.

მათ დაიწყეს იერუსალიმის მეორე ტაძრის მშენებლობა, პირველი კი ნაბუქოდარნოსარის მიერ იყო დანგრეული და გაძარცული.

ძვ.წ. VI ს-ის შემდგომ პერიოდს ენოდება იერუსალიმის მეორე ტაძრის პერიოდი.

იმ დროიდან მოყოლებული, თუ არ ჩავთვლით ძვ.წ. 167-163 წლებს, ებრაელებს აღარ ჰქონიათ თავიანთი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ვიდრე არ მოვიდოდეთ 1948 წლამდე.

ამდენად, შეუძლებელია იერუსალიმის მეორე ტაძარის აშენებამდე, მთელი 300 წლის განმავლობაში, სადღაც, შეუმჩნევლად გდებულიყო კუთხეში, „მოსეს მეორე კანონი“ და არ შეემჩნიათ იგი ხალხს.

ამ „მეორე კანონის“ გამოჩენის მთავარი იდეა კი იყო, ღვთისმსახურება წარმართულიყო ცენტრალიზებულად, - იერუსალიმში. რამეთუ, იქ უკვე დამთავრებული იყო მეორე ტაძრის მშენებლობა და ხელისუფლებას ქონების მოპოვების შანსი, არ უნდოდა ხელიდან გაეშვა. მანამდე კი ღვთისშენირვას შეიძლება ადგილი ჰქონიყო ქვეყნის ნებისმიერ ტაძარში. ამჯერად კი, იგი უნდა შესრულებულიყო მხოლოდ და მხ-

ოლოდ, ახლად აშენებულ იერუსალიმის „მეორე ტაძარში“.

სადაც არ უნდა ყოფილიყო ებრაელი, ვალდებული იყო იგი წელიწადში სამჯერ მისულიყო აღნიშნულ ტაძარში და იქ ღმერისათვის შეენირა შესანირი, რაც თავის მხრივ, ცხადია, ქვეყნის რელიგიურ-პოლიტიკურ აპარატში იყრიდა თავს, მრევლს კი აიძულებდა, არ დაეტოვათ ქვეყანა.

ამგვარად, მოსეს „მეორე კანონი“, სამეფო ხელისუფლებამ და ქურუმთა კლანმა აქცია სიმდიდრის დაგროვების უმთავრეს წყაროდ. გარდა იმისა, რომ უფრო გამოკვეთილად განაწყობდა მოსახლეობას სამსოფილო ბატონობისათვის, რასაც მოგვიანებით აგიხსნით.

d.3. VI ს-ის დამლევს იუდაიზმს გააჩნდა სამი წყარო. „ელოხიზმი“, „იახვიზმი“ ანუ „იეჰოვას“ მოძღვრება და მოსეს „მეორე კანონი“. ქურუმებმა მათი ერთმანეთთან დაკავშირებით კი შექმნეს, ე.წ. „ქურუმთა კოდექსი“. და იგი, იმავე „მეორე ტაძრის“ წინ შეეკრებულ ხალხში, ძ.წ. 444 წ-ს გამოაქვეყნეს, როგორც მორიგი აღთქმა. რაც შემდგომ ასევე შეტანილი იქნა „მოსეს ხუთწიგნეულში“.

„ქურუმთა კოდექსი“ შეიცავდა საკულტო დებულებებსა და იუდეველთა ყოფა-ცხოვრების წესებს. სისხლის სისწმინდის დაცვის მიზნით კი ებრაელებს უკრძალავდა შერეულ ქორწინებას, ხოლო ვინც იმყოფებოდა ასეთ ქორწინებაში, - ვალდებული იყო შვილებთან ერთად გაეშვა ცოლიც.

მის მეშვეობით ხელისუფლება კვლავ შეეცადა ებრაელი ხალხის რელიგიურ პლატფორმაზე ხელახლა კონსოლიდირებას.

ამ „კოდექსის“ ელემენტებით გაჯერებულია „ლევიანთა“, „რიცხვნი“, „დაბადება“, და „გამოსვლის“ წიგნები.

„ოთხივე წყარო“, რომელიც „ხუთწიგნეულის“ საფუძვლად მიჩნეულია, ერთმანეთთან მექანიკურად კი არ არის დაკავშირებული, არამედ მათი ცალკეული ნაწილები ერთმანეთშია ჩართული შინაარსობრივი მახლობლობის მიხედვით.

იუდეიში, - ისრაელის სახელმწიფოების ცალკ-ცალკე არ-სებობის პერიოდში, კერძოდ კი, ძვ.წ. VIII ს-ში გამოჩენდა წინასწარმეტყველ ამოსისა და ოსიას წიგნები, რომელთა შინაარსიც თითქმის ერთიმეორის იდენტურია და ასახავენ ქვეყნის შიგნით არსებულ მძიმე მდგომარეობას. როგორც ჩანს, ხალხს უჭირდა და სოციალური უსამართლობის ნიადაგზე ადგილი ჰქონდა უკიდურეს კლასობრივ დაპირისპირებას.

აი, ასეთ ვითარებაში, შეიქმნა რა იმის საფრთხე, რომ ხალხი დაკარგავდა იეპოვასადმი რწმენას, რომ აეხსნათ მათ-თვის, ვითომდა ღმერთს სწორი გზით მიჰყავდა ისინი, წინასწარმეტყველებმა ხალხის მძიმე ხვედრი ახსნეს ღვთის სასჯელად, ვითომდა მათ მიერ რჯულის კანონის დაუცველობის გამო დაატყდათ მათ თავს უბედურება. და განაცხადეს, უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ, თუ კი არ დაიცავდნენ „რჯულის კანონს“, და ხალხმაც ინამა, ნაცვლად იმისა, რომ ჩაძიებოდნენ უსამართლობის მიზეზს.

მას მოჰყვა მეორე კონცეფციაც, რომ თითქოსდა ხალხი იტანჯებოდა იმის გამოც, რომ მათზე გადასული იყო კაცობრიობის მშობლების, - ადამისა და ევას ცოდვა, რაც გამოსყიდვას საჭიროებდა. გამოსასყიდად კი მოვიდოდა მესია, რომელიც დაამარცხებდა მჩაგვრელებს და ხალხს გაუძღვებოდა გამარჯვებამდე. ამგვარმა პოზიციამ ხალხი ერთგვარად მართვადი გახადა და წინასწარმეტყველებმა, შემდგომ ამ მიმართულებით განავითარეს რელიგიური იდეოლოგია. შექმნეს რიგი ტექსტები, საიდანაც შემდგომ ამოიზარდა „ხალი აღთქმაც“.

იმავე ძვ.წ. VIII ს-ის დამლევს, ჩნდება, ასევე წინასწარმეტყველ მიქასა და პირველ ისაიას წიგნები. ამ უკანასკნელის - ბიბლიაში არაა შეტანილი. იგი შედგება 66 თავისაგან, თუმცა მათი პირველი 39 თავი, მის პერიოდს ეკუთვნის, დანარჩენები კი, - მისი სახელით შდგენილია მოგვიანებით.

მიქასა და პირველ ისაიას წიგნები გამოხატავენ ქვეყანაში არსებულ სოციალურ-კულტურული ხასიათის ბოროტებას,

რომ თაყვანს სცემდნენ უცხო ღმერთებს, და წინასწარმეტყველნი მოუწოდებდნენ ხალხს, დაეცვათ ღვთისთვის მიცემული პირობა. აღესრულათ მოსეს სჯული, თუ არა და უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ. ამასთან ერთად, გამზადებულიყვნენ მესიის მოსასვლელად, რომლიც „სამსჯავროს მოაწყობდა“.

ამ მიდგომამ ხალში კრისტალიზება დაიწყო და თანდათან პოპულარული გახდა.

„სამართალს განიკითხავს იგი ერებს შორის და ამხილებს უთვალავ ხალხს; მახვილისაგან სახნისებს გამოჭედავენ და შუბებისაგან – ნამგლებს, ერი ერზე აღარ აღმართავს მახვილს და აღარავინ ისწავლის ომს“ (ესაია, 2:4,) - აცხადებდნენ მღვდელმსახურები.

იუდეის სამეფოს არსებობის პერიოდში გაჩნდნენ ასევე წინასწარმეტყველ სოფონიას, ნაუმის, აბაკუმის, იერემიასა და ეზიკელის წიგნებიც.

ასე და ამრიგად ჩამოყალიბდა „ძველი აღთქმის“ წიგნთა ფონდი.

ბაბილონის ტყვეობიდან იუდეველთა განთავისუფლებამ, რასაც ადგილი ჰქონდა ძვ.წ. 538 წ-ს, ბიძგი მისცა ახალი წიგნების გაჩენას.

ესაიამ თავისი წიგნი გაამდიდრა 16 - ახალი თავით, რასაც მეორე ესაია ეწოდა.

ამ თავების ასეთი დათარიღება დასტურდება სპარსეთის მეფის კიროსის მესიად მიჩნევის წიადაგზე, რომელმაც ბაბილონი დაიპყრო და მის ტყვეობიდან იხსნა იუდეველები.

მანაც აღიარა, ისრაელის ღმერთი „იეჰოვა“ და ნება დართო ეპრალებს აღედგინათ სოლომონის ტაძარი.

მას შემდეგ ჩნდება წინასწარმეტყველ აგეას, ზაქარიასა და მალაქიას წიგნებიც. აგრეთვე, ესაიას უკანასკნელი 11 თავი.

დროის მიხედვით კი, უკანასკნელ წინასწარმეტყველად გვევლინება დანიელი, დროს კი ძვ.წ. II ს-ის მე-60 წელი წარმოადგენს.

## ვუარყოთ სიცრუის მანებია და შემოვისარტყლეთ სიმართლის ჯავშანით! —————

არანაკლებ საინტერესოა ფსალმუნების შედგენის ისტორიაც, რომელსაც დავით მეფეს მიაწერენ. მათში, არაერთხელაა იერუსალიმის ტაძარი მოხსენიებული, რომელიც მის დროს საერთოდ არ არსებობდა.

136-ე ფსალმუნში ნათქვამია, თუ როგორ ტიროდნენ ებრაელები ბაბილონის მინდვრებში, როდესაც მათ ტყვეობაში მიერეკებოდნენ, რასაც დავითის სიკვდილიდან 400 წლის შემდეგ ჰქონდა ადგილი.

დადგენილია, რომ 150 ფსალმუნთაგან, მხოლოდ 9 შეიძლება ეკუთვნოდეს ებრაელთა დატყვევებამდე პერიოდს.

ტყვეობის პერიოდს კი 10 ფსალმუნი ეკუთვნის, ხოლო ყველა დანარჩენი, - შემდგომ პერიოდს, რომლებიც თანდათანობით გაჩნდნენ. მათგან 10-12 ფსალმუნი ეკუთვნის მაკაბელთა აჯანყების ხანას, რასაც ადგილი ჰქონდა ძვ.წ. 11ს-ის 60-იან წლებში.

მთლიანად, ფსალმუნთა წიგნი შეიძლება ჩაითვალოს შექმნილად არა უადრეს ძვ.წ. მე-100 წელსა, დავითის გარდაცვალებიდან თითქმის 1000 წლის შემდგომ პერიოდში და საკითხავია, როგორლა მიაწერენ მას?!

„ძველი აღთქმის“ მთლიანი კოდიფიკაცია და კანონიზაცია, რასაც აღიარებენ ქრისტიანებიც, მოხდა პალესტინის ქ. იამნის ოუდეველთა სასულიერო აკადემიისა და რელიგიური ცენტრის მიერ ახ.წ. 90-100 წნ-ში.

ისე კი, ძველი აღთქმის წიგნებმა არაერთი ცვლილება და რედაქტირება განიცადა შუა საუკუნეებამდე. აკლებდნენ და უმატენდნენ მათ ცხოვრებისეული საჭიროების მიხედვით.

ერთი შეხედვით, ყოველივე ეს ჭკვიანურია, მაგრამ ისმის იკითხვა, სად წავიდა ბიბლიის ღვთაებრივი წარმომავლობა? გამოდის, რომ საუკუნეების განმავლობაში ასე ურცხვად გვატყუებდნენ ხალხს.<sup>31</sup>

## თავი II. ბიბლია სიცრუის პილობანია?

### § 1. „ძველი აღთქმის“ ფართაზიგი\*

ბიბლიაში არსებული მითები და ლეგენდები წარმოადგენენ რელიგიური ფანტაზიის ნაყოფს, რომლებსაც ორი და-მახასიათებელი ნიშანი გააჩნია.

ერთი მათგანი მოგონილია მთლიანად, რამეთუ მათ შესახებ სხვა წყაროები არ არსებობენ. და მეორე, მოქმედი პერსონაჟი წარმოდგენილია ზებუნებრივ არსებად, რომლის ნამოქმედარიც ბუნებრივ კანონებში არ ჯდება.

ასეთს აქვს ადგილი იმ შემთხვევაში, როდესაც სურთ იგი დაგვანახონ კერპის, დვთაების საფუძვლად, ანუ ზებუნებრივ გმირად.

თუმცა უნდა ითქვას, რომ ბიბლიაში არსებულ მითებსა და ლეგენდებს რეალობასთან გარკვეული კავშირი გააჩნია და ისტორიაზე ისე არიან გადაჯაჭვულნი, რომ ერთი მეორისა-გან გარჩევა შეუძლებელია.

ამ საქმეში არბიტრის როლი კი არქეოლოგიას ეკუთვნის.

რამდენადაც ბიბლიურ-ისტორიულ მონათხრობთა საწყის პუნქტად, რომელზედაც დაფუძნებულია იუდაიზმი, ქრიესტიანობა და ისლამი, - მიჩნეულია პატრიარქ აბრაამზე, ისაკსა და იაკობზე თქმულება, - მათი ცხოვრების არსებობის დადგენის მიზნით, ინგლისელმა არქეოლოგმა – ლეონიდ ვულმა XIX ს-ის 20-30-იან წლებში, ქ. ურში, საიდანაც ვითომდანარმოშობით იყო აპრაამი, ანარმოვა გათხრები. თუმცა, მან იქ მათი არსებობის შესახებ ვერანაირი საბუთი ვერ ნახა.

როგორც ბიბლიაშია ნათქვამი, აბრაამმა, თავის თემთან ერთად, ხამურაბიც კი დაამარცხაო. გამოდის, რომ, იგი იმ დროისათვის ცნობილი პიროვნება უნდა ყოფილიყო და ისტორიაშიც კვალი უნდა დაეტოვა, მაგრამ არა, - რაც საპირისპიროს ლაპარაკობს.

\* ამ პარაგრაფში ძირითადი ინფორმაცია გადმოტანილია წიგნიდან, И.А. Крывелев – « Библия: Историко-критический анализ» М. 1982 г.

## ვუარყოთ სიცრუის მანებია და შემოვისარტყლეთ სიმართლის ჯავშანით! —————

ქ. ებლაშიც წარმეობულ არქეოლოგიურ გათხრებს, აბრაამის, ისაკისა და იაკობის შესახებ, არანაირი ინფორმაცია არ მიუცია. თუმცა იქ აღმოჩენათ 5000-ზე მეტი წარწერებიანი თიხის ფირფიტა. საერთოდ, იქ არაფერი ენახათ ისეთი, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ბიბლიასთან პარალელის გავლება.

არქეოლოგ-ბიბლეისტ ჯონ ვან სეტერსა და ეტომასს ტომპსონის გამოკვლევებით დასტურდება, რომ პატრიარქ აბრაამისადმი თქმულებანი შედგენილია არა უადრეს ძვ.წ. I ათასწლეულის შუა პერიოდში.

იელის უნივერსიტეტის პროფესორ სეტერს, აბრაამისადმი თქმულების წარმოშობა მიაჩნია გვიანდელად და თვლის, რომ იგი შეთხზულ უნდა იყოს ბაბილონის ტყვეობის პერიოდში, ანუ ძვ.წ. 586-538 წწ.-ში. ხოლო „ქურუმთა კოდექსი“ (თალმუდი), - ტყვეობის შემდეგ.

უნდა გამოვრიცხოთ, რომ აბრაამის, ისაკისა და იაკობის შესახებ, - მანამდე ყოფილიყო ზეპირსიტყვიერი თქმულებები. თუმცა სეტერსი არც ამას ეთანხმება და მას დაუსაბუთებლად მიაჩნია მანამდე გადმოცემული ისტორიებიც.

აბრაამის ფიგურას იგი მიიჩნევს მითად. თვით კრიველევს კი, – აბრაამი, ისაკი და იაკობი მიაჩნია არა ადამიანებად, არამედ თემთა ღმერთებად, რომლებსაც შუამდინარეთში თაყვანს სცემდნენ.

გერმანელ ბიბლოლოგებ ნოტასა და ალტას დასკვნით, მითად გამოყურება ასევე ისრაელთა წარმომავლობა 12 ტომიდან, როგორც იაკობის 12 შეილთა შთამომავალნი.

არსებობს მოსაზრება, თითქოსდა პალესტინის ტერიტორიაზე ისრაელეთა სახელმწიფო ჩამოყალიბდა უფრო მეტ ტომთა გაერთიანებით და თანაც, არა ნათესაური კავშირის, არამედ საერთო კულტის ნიადაგზე.

პალესტინაში ჯერ ყოფილა „ელას“ კულტი, შემდეგ კი, იგი, იქ შესულ სემიტებს შეუცვლიათ „იეჰოვათი“.

ებრაელებს თემობრივ - კონფედერაციული პრინციპით

ეცხოვრათ, როგორც სამეფო ხელისუფლების პირობებში, ისე მანმადე, და სამეფო ხელისუფლების შემდეგაც, ვიდრე ელინისტურ ხანამდე.

ეჭვქვეშაა თქმულება, მოსეს თაოსნობით ებრაელთა ეგვიპტიდან გამოსვლის შეახებაც, თუმცა სიმართლეს შეესააბამება იქ 70 ებრაელი ოჯახის გამოსაკვებად შესვლა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ძვ. წ. XIII ს-ის დამლევს, ეგვიპტის მესაზღვრებს ფარაონ სეტი II-სთვის წერილობით მოუხსენებიათ, რაც შემორჩენილია დღემდე პაპირუსის ქალალდზე შედგენილი (ანასტაზი VI).

ეს ინფრომაცია ერთდაგვარ წინააღმდეგობაშია ბიბლიურ კონცეფციასთან, რომ ებრაელები ეგვიპტიდან გამოვიდნენ ძ. წ. XV თუ XIII ს-ში?

აქ პირველი ავრიანტი არ წაგვადგება, რამდენადაც მტკიცებულება სახეზე გვაქვს, რაც შეეხება მეორეს, - მისი გაზიარების შემთხვევაში, გამოდის, რომ ებრაელებს ეგვიპტეში მოუნიათ ბევრად მცირე დრო, ვიდრე 430 წელი, როგორც ეს ბიბლიიაშია ნათქვამი.

არის კიდევ ერთი მტკიცებულება, რომელიც შეიძლება ებრალეთა ეგვიპტში ყოფნას დავუკავშიროთ. კერძოდ, „ბენ სასანის ფრესკა“, რომელზეც გამოსახულია ეგვიპტელი ჩინოვნიკის მიერ ბავშვების, ქალებისა და წვერიანი მამაკაცებისაგან შემდგარი სემიტური ჯგუფის მიღება. ჯგუფი კი ჩინოვნიკს რაღაც საჩუქარს გადასცემს.

ფრესკაზე წარჩერაა, რომ ჯგუფი შესდგება 37 – კაცისაგან და მას ხელმძღვანელობს ვინმე იბშა თუ აბიშა. ფრესკა შესრულებულია ძვ. წ. XIX ს-ში.

ეს ინფორმაციაც არ იქნა მტკიცებულებად მიჩნეული ებრაელთა ეგვიპტეში შესვლის თაობაზე, მით უფრო, რომ სსენებული ჯგუფი აღიარეს ვაჭრებად, რომლებიც ჩინოვნიკს ჩუქნიან საჩუქარს.

რა თქმა უნდა, იმ ხანად ხდებოდა ეგვიპტეში ებრაელთა გადასვლა, მაგრამ სსენებული ფაქტები ბიბლიურ ვერსიას ვერ ამართლებენ.

## ვუარყოთ სიცრუის მანებია და შემოვისარტყლეთ სიმართლის ჯავშანით! —————

აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ებრაელთა ეგვიპტეში ყოფნის ისტორია და იქიდან მათი გამოსვლა, - მითია! მითია, ასევე ებრაელთა ეგვიპტეში ყოფნის 430 წელიც, რომლის განმავლობაშიც, თითქოსდა, ხსენებული 70 ოჯახი გამრავლდა ერთ მილიონამდე და ეგვიპტის სახელმწიფოს თავისი სიმრავლით შეუქმნეს საფრთხე.

